



№ 1გ/730-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

22 აპრილი 2016 წელი
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე გიორგი გომარელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის 2016 წლის 19 აპრილის განჩინებაზე, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჩუბინიძის საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

2016 წლის 04 აპრილს, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში განსახილველად შევიდა გ. გ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის N002150316003 საქმე, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2015 წლის 19 აპრილს. აღნიშნულ სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის მიერ განხილული იქნა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, დაამტკიცა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა პროკურორის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერების ოქმისა.

სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილი ოქმით არ დგინდება თუ როდის ჩატარდა პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერება, ოქმზე არ არის აღნიშნული თარიღი, საგამომიებო მოქმედების ოქმი კი უნდა შეიცავდეს თარიღს იმაზე მითითებით თუ როდის ჩატარდა საგამომიებო მოქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მითითებული მტკიცებულება - პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერების ოქმი სცნო დაუშვებელ მტკიცებულებად.



2016 წლის 21 აპრილს, ზემოაღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი ჩუბინიძემ, რომელიც ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის 2016 წლის 19 აპრილის განჩინების გაუქმებას, ბრალდების მხარის მტკიცებულებების - პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერების ოქმის (ს.ფ. 11-12) დაუშვებლად ცნობის ნაწილში და აღნიშნული მტკიცებულებების საქმის არსებით განხილვაზე დასაშვებად ცნობას. საჩივარი და საქმის მასალები თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში მიღებული იქნა 2016 წლის 22 აპრილს.

საჩივარში მითითებულია, რომ ბრალდებულს სადაოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მტკიცებულებები და სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა სცილდება შეჯიბრებითობის პრინციპს. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, რომ საგამომიებო მოქმედება - დათვალიერება ჩატარდა 2016 წლის 16 მარტს და ის, რომ ოქმზე არ არის დასმული თარიღი წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის მექანიკურ შეცდომას და არა არსებითი ხასიათის დარღვევას.

წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროკურორის არგუმენტები და მოსაზრებები. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის (უფლებამოსილების) ფარგლებში, საგამომიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

საკითხის განხილვისას, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს. დათვალიერებისას



უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლი ადგენს დათვალიერების ზოგად წესს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუტოს.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს - საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები; იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება; საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელები და გვარები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მათი მისამართებიც. ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს საქმისათვის არსებითი გარემოებები, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და შენიშვნები. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და რაიმე გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხის 3.2 პუნქტში მითითებულ, პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერების ოქმში (ს.ფ. 11-12) არ არის აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თარიღი, რის გამოც გაურკვეველია თუ რეალურად როდის ჩატარდა პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერება. საგამოძიებო მოქმედების ოქმში კი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მისი ჩატარების თარიღზე მითითებას და აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია არსებით დარღვევად. შესაბამისად, კოლეგია არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ დათვალიერების ოქმში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თარიღის მითითებლობა თითქოსდა წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შეცდომას.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის მიერ მოცემული სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე კანონის სრული დაცვით იქნა განხილული ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და კონკრეტულ შემთხვევაში მიიღო არსებითად კანონიერი, დასაბუთებული და მართლზომიერი გადაწყვეტილება.

აქვე, საჩივარში პროკურორის მითითებაზე, რომ ბრალდებულს სადაოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მტკიცებულებები და სასამართლო გაცდა შეჯიბრებითობის პრინციპს, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის საფუძველზე მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მიუხედავად იმისა მეორე მხარე ხდის თუ არა სადაოდ რომელიმე მტკიცებულებას, არ არის შეზღუდული და უფრო მეტიც - სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულია, სრულყოფილად შეამოწმოს მხარეთა მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება მათი დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობის შესახებ. აღნიშნული არ არღვევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით აღიარებულ შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმადაც მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივარი არის უსაფუძვლო, პროკურორის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჩივარში აღნიშნული გარემოებები იმ



სტანდარტით, რომ იგი საკმარისი იყოს ხსენებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობისათვის, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე, 77-ე, 82-ე, 126-ე, 134-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ჩუბინიძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის 2016 წლის 19 აპრილის განჩინება, გ. გ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მტკიცებულების - პლანშეტური კომპიუტერის კოლოფის დათვალიერების ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე